სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/90

ქ. თბილისი

19 აპრილი 2019

ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფ. თეიმურაზ ფაღავას განცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოც. პროფ. თეიმურაზ ფაღავას;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**